წერილის ნომერი: **30-302304618**
თარიღი: **15/02/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანში ფუნქციონირებდა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან მომავალი ნავთობსადენის წნევის სადგური. დაახლოებით 1930-იან წლებში სადგურთან აშენდა ორი საცხოვრებელი კორპუსი და საცხოვრებელი ბინები სარგებლობაში გადაეცათ სადგურის თანამშრომლებს. თაობათა ცვლასთან ერთად იცვლებოდა მოსარგებლეებიც. ამ დროისთვის პირველ კორპუსში ცხოვრობს 8 ოჯახი (23 ადამიანი), მეორე კორპუსში კი 6 ოჯახი (26 ადამიანი). ბინებით მოსარგებლეებს არ გააჩნიათ საკუთრების დამდგენი დოკუმენტები. მოსარგებლეების ნაწილი ირიცხება სოციალურად დაუცველთა ბაზაში. აღნიშნულ პირებს სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ. ორივე საცხოვრებელი კორპუსი სახელმწიფოს მიერ გადმოეცა მუნიციპალიტეტს და წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას. (თითოეული ბინა რეგისტრირებულია ცალკე უფლების ობიექტად) მაცხოვრებლები წლებია მუნიციპალიტეტისგან ითხოვენ ბინების რეგისტრაციაში დახმარებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მოსარგებლეებისათვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. კორპუსის მაცხოვრებლებმა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ ფართებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს მომართეს განცხადებით, რომელშიც გამოთქვეს მზადყოფნა სიმბოლურ ფასად (1 ლარად) შეისყიდონ ფართი. განცხადებას თან ერთვის ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობა ფართის განმცხადებლის სახელზე რეგისტრაციასთან

დაკავშირებით. ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი და ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი (საკრებულოს წევრი) სამ მეზობელთან ერთად შედგენილი აქტით ადასტურებენ კონკრეტული ფართის განმცხადებლის ოჯახის მიერ ფლობის ფაქტს. პირველი კორპუსიდან განცხადება წარმოადგინეს: გიორგი გიორგაძემ, გოგოლა ბჟინავამ, თეიმურაზ გეგუჩაძემ (წარმომადგენელი ქეთევან გეგუჩაძე), ილია ლანჩავამ, ლევან ჯინჭარაძემ, ნატალია ლანჩავამ, ოთარ ლანჩავამ და ტარიელ ქამადაძემ. მეორე კორპუსიდან განცხადება წარმოადგინეს: ალექსი თევზაძემ, გურამ დოლიძემ, დარეჯან ჯინჭარაძემ, ნინო ჯიბლაძემ, სილიბისტრო სიხარულიძემ და ჯემალ ბერიძემ.

იმის გათვალისწინებით რომ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ზემოთაღნიშნული მოქალაქეების მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილება, შუამდგომლობით მივმართეთ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რათა განეხილა დაინტერესებული პირებისათვის ამ ქონების გადაცემის საკითხი.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააააგენტოს თავმჯდომარის მ/წლის 14 თებერვლის N5/8392 წერილით გამოთქმულია თანხმობა, ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შემთხვევაში, სააგენტომ განიხილოს ხსენებული საკითხი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, თორნიკე ტიკაძის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2023 წლის 14 თებერვლის N5 / 8392 წერილის გათვალისწინებით, მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, სახელმწიფოს (შემდგომში დაინტერესებული ფიზიკური პირებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით) უსასყიდლოდ გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302304419**
თარიღი: **13/02/2023**

ადრესატი: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანში ფუნქციონირებდა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან მომავალი ნავთობსადენის წნევის სადგური. დაახლოებით 1930-იან წლებში სადგურთან აშენდა ორი საცხოვრებელი კორპუსი და საცხოვრებელი ბინები სარგებლობაში გადაეცათ სადგურის თანამშრომლებს. თაობათა ცვლასთან ერთად იცვლებოდა მოსარგებლეებიც. ამ დროისთვის პირველ კორპუსში ცხოვრობს 8 ოჯახი (23 ადამიანი), მეორე კორპუსში კი 6 ოჯახი (26 ადამიანი). ბინებით მოსარგებლეებს არ გააჩნიათ საკუთრების დამდგენი დოკუმენტები. მოსარგებლეების ნაწილი ირიცხება სოციალურად დაუცველტა ბაზაში. აღნიშნულ პირებს სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ. ორივე საცხოვრებელი კორპუსი სახელმწიფოს მიერ გადმოეცა მუნიციპალიტეტს და წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას. (თითოეული ბინა რეგისტრირებულია ცალკე უფლების ობიექტად) მაცხოვრებლები წლებია მუნიციპალიტეტისგან ითხოვენ ბინების რეგისტრაციაში დახმარებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მოსარგებლეებისათვის საკუთრებაში გადაცემის ხელშეწყობის მიზნით მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. კორპუსის მაცხოვრებლებმა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ საცხოვრებელ ფართებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს მომართეს განცხადებით, რომელშიც გამოთქვეს მზადყოფნა სიმბოლურ ფასად (1 ლარად) შეისყიდონ ფართი. განცხადებას თან ერთვის ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობა ფართის განმცხადებლის სახელზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი და ოლქის მაჟორიტარი დეპუტატი (საკრებულოს წევრი) სამ მეზობელთან ერთად შედგენილი აქტით ადასტურებენ კონკრეტული ფართის განმცხადებლის ოჯახის მიერ ფლობის ფაქტს. პირველი კორპუსიდან განცხადება წარმოადგინეს: გიორგი გიორგაძემ, გოგოლა ბჟინავამ, თეიმურაზ გეგუჩაძემ (წარმომადგენელი ქეთევან გეგუჩაძე), ილია ლანჩავამ, ლევან ჯინჭარაძემ, ნატალია ლანჩავამ, ოთარ ლანჩავამ და ტარიელ ქამადაძემ. მეორე კორპუსიდან განცხადება წარმოადგინეს: ალექსი თევზაძემ, გურამ დოლიძემ, დარეჯან ჯინჭარაძემ, ნინო ჯიბლაძემ, სილიბისტრო სიხარულიძემ და ჯემალ ბერიძემ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით დანართში მითითებულ პირებს სიმბოლურ თანხად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაეცეთ დანართშივე მითითებული უძრავი ქონება. ამასთან გაცნობებთ, რომ დანართში მითითებული პირები ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში გადაიხდიან საპრივატიზებო თანხას. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, მერი

2800, ქ.ლანჩხუთი, კოსტავას ქ.37, ელ.ფოსტა: Lanchkhuti@yahoo.com

მიმართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რათა მიიღოს თანხმობა ფართების სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით და ამის შემდეგ მერის ბრძანებით მოხდება ფართების სახელმწიფოსთვის გადაცემა.

გთხოვთ განიხილოთ და გვაცნობოთ თქვენი პოზიცია.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

KA021799375514523

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel:1420
info@nasp.gov.ge

N5/8392 14 / თებერვალი / 2023 წ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 13.02.2023 წლის N30-302304419 წერილი, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მდებარე უძრავი ქონების (იხ. დანართი) ფიზიკური პირებისთვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის საკითხს.

გიგზავნით კორესპონდენციას, გთხოვთ განიხილოთ დაინტერესებაში არსებული ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

ასევე გაცნობებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, აღნიშნული პირ(ებ)ის დაზუსტებული დაინტერესების (განცხადებების) საკადასტრო კოდის, ფართის და გადაცემის პირობების მითითებით დაზუსტებული შუამდგომლობის წარმოდგენის შემთხვევაში, სააგენტო გამოთქვამს მზადყოფნას იმსჯელოს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე

#	სახელი	გვარი	პირადი ნომერი	მისამართი	სართული	ფართი	ბინის N	საკადასტრო კოდი
1	ალექსი	თევზაძე	26001025919	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	32,33	3	27.04.49.062.01.003
2	ალექსი	თევზაძე	26001025919	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	49,57	1	27.04.49.062.01.001
3	ალექსი	თევზაძე	26001025919	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	60,03	2	27.04.49.062.01.002
4	დარეჯან	ჯინჭარაძე	61002018079	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	54,78	8	27.04.49.062.01.008
5	დარეჯან	ჯინჭარაძე	61002018079	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	47,09	9	27.04.49.062.01.009
6	ნატალია	ლანჩავა	26001031300	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	37,06	11	27.04.49.063.01.011
7	ნატალია	ლანჩავა	26001031300	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	30,78	12	27.04.49.063.01.012
8	ტარიელ	ქამადაძე	61009004742	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	33,65	7	27.04.49.063.01.500
9	ტარიელ	ქამადაძე	61009004742	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	33,91	8	27.04.49.063.01.511
10	გიორგი	გიორგაძე	26001038209	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	29,61	1	27.04.49.063.01.001
11	გიორგი	გიორგაძე	26001038209	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	30,46	2	27.04.49.063.01.002
12	თეიმურაზ	გეგუჩაძე	46001016816	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	42,73	5	27.04.49.063.01.005

13	თეიმურაზ	გეგუჩაძე	46001016816	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	31,18	6	27.04.49.063.01.516
14	ნინო	ჯიბლაძე	26001005386	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	72,85	6	27.04.49.062.01.006
15	ჯემალ	ბერიძე	26001029356	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	80,25	5	27.04.49.062.01.005
16	გოგოლა	ბჟინავა	26701040315	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	33,29	9	27.04.49.063.01.009
17	გოგოლა	ბჟინავა	26701040315	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	34,60	10	27.04.49.063.01.010
18	ილია	ლანჩავა	26001004454	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	35,49	13	27.04.49.063.01.013
19	ილია	ლანჩავა	26001004454	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	30,39	14	27.04.49.063.01.014
20	ოთარ	ლანჩავა	26001030892	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	29,29	3	27.04.49.063.01.003
21	ოთარ	ლანჩავა	26001030892	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	29,84	4	27.04.49.063.01.004
22	გურამ	დოლიძე	26001029601	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	76,87	4	27.04.49.062.01.004
23	ლევან	ჯინჭარაძე	61002002482	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	36,36	15	27.04.49.063.01.015
24	ლევან	ჯინჭარაძე	61002002482	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	2	30,21	16	27.04.49.063.01.515
25	სილიბისტრო	სიხარულიძე	26001029449	ლანჩხუთი სოფელი ქვიანი	1	77,57	7	27.04.49.062.01.007
26								

27								
28								
29								
30								
31								
32								
33								
34								
35								
36								
37								
38								
39								
40								

41								
42								
43								
44								

საპრივატიზებო ფასი
1 ლარი
1ლარი
1ლარი
1ლარი
1ლარი
1ლარი
1ლარი
1ლარი
1ლარი
1ლარი
1ლარი
1ლარი

1ლარი
1ლარი
1ლარი
1 ლარი
1 ლარი
1 ლარი
1 ლარი
1 ლარი
1 ლარი
1 ლარი
1 ლარი
1 ლარი
1 ლარი
1 ლარი